პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ხუთშაბათი 1 თებერვალი № 27 (17372) ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი წინასაარჩევნო ვაჭტზე

1. ცხვარი მრავლდება

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების ცხვრის ფარები ივრისპირეთში იზამთრებს. ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებმა და მეცხვარეებმა ფერმები დროულად მოამზადეს საკმაო საკვებით, ბინები კარგად დათბუნეს. მეცხვარეები უსაზღვრო სიხარულს განიცდიან და ყოველგვარ მძიმე სამუშაოს ხალისით ასრულებენ.

თედო ჯანიაშვილი, პირშავა ბატკანი რომ წამოუკიდებია მხრებზე, სიხარულს ვერ მალავს. ჭარმაგმა მეცხვარემ მრავალი წლის გამოცდილებით კარგად იცის, რომ დოლის დროს ყოველი ბატკნის შესანარჩუნებლად დიდი საზრიანობა და შრომაა საჭირო. ისიც ენერგიის არ ზოგავს.

სურათზე: მეცხვარე თედო ჯანიაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გადაჭრით ვებრძოლოთ ფორმალიზმს ალმზრდელობითს მუშაობაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა და განიხილა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჟ. კ. შარტავასა და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ო. დ. ქინჭლაძის ინფორმაციები საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის იმ გაერთიანებული სხდომის შედეგების შესახებ, რომელზეც იმსჯელეს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში მიმდინარე ალმზრდელობითს მუშაობაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აგრეთვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ერთობლივი დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში მიმდინარე ალმზრდელობითს მუშაობაში არსებული ფორმალიზმის ნებისმიერი შემთხვევისა და მათი ალმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", რომელიც გაზეთებში „ახალგაზრდა კომუნისტში", „მოლოდიოჟ გრუზიასა" და „სახალხო განათლებაში" გამოქვეყნდა, და ძირითადად მოიწონა ალმზრდელობითს მუშაობაში ფორმალიზმის ალმოსაფხვრელად გადამჭრელი ბრძოლის ღონისძიებანი.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ალმზრდელობითს მუშაობაში ფეხზოკიდებული ფორმალიზმი იმის შედეგია, რომ სუსტად მუშაობენ სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, დირექცია, საქართველოს კომპარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები. დაბალია სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და დირექტორების, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მდივნების პასუხისმგებლობა. ღრმად გამჯდარი ფორმალიზმი იმის შედეგიც არის, რომ ქმედითს პარტიულ კონტროლს არ უწევენ მოზარდი თაობის სწავლა-განათლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის დარგში პარტიის XXV ყრილობის დირექტივების, სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესრულებას.

ბევრ სკოლაში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები ფორმალურად არსებობს, ალმზრდელობითი მუშაობის სტილი და შინაარსი არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. აღზრდის პროცესში სუსტად არიან ჩაბმულნი პედაგოგიური კოლექტივები, განსაკუთრებით ჰუმანიტარული დარგისა და საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინების მასწავლებლები. ჯერ კიდევ არ იჩრქნობა სწავლებისა და აღზრდის პროცესების სრული ერთიანობა, განსაკუთრებით შობლიური ენისა და ლიტერატურის, საზოგადოებათმცოდნეობის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და საქართველოს ისტორიის გაკვეთილებზე.

ზოგიერთი მასწავლებელი განზე უდგება სკოლის კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციათა ინტერესებს. არ ეხმარება მუშაობაში კომკავშირულ და პიონერულ აქტივს. კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობაში ხშირად სჯერდებიან მუშაობის გარეგნულ ფორმას, არცთუ იშვიათად აფორმებენ დოკუმენტებს ვითომდა გამართული კომკავშირული კრებების, რაზმებისა და რაზმეულების შეკრებების შესახებ. თავის მხრივ, კომკავშირული ორგანიზაციები და სახალხო განათლების ორგანოები ხშირად სჯერდებიან საქმის მდგომარეობის შესწავლას მხოლოდ დოკუმენტების მიხედვით, არ სწვდებიან სასკოლო ცხოვრების აქტუალური პრობლემების არსს, არ აფასებენ შექმნილ ვითარებას გაწეული მუშაობის კონკრეტული შედეგების შესაბამისად.

ფორმალიზმი თავის გამოხატულებას პოულობს სინამდვილის შელამაზებით, თვალისახვევით, ბიუროკრატიზმით.

პარტიის ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტი, მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, ერძოდ, რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ცალკეული საბჭოთა და კომკავშირული ორგანოები ფორმალურად ასრულებენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დირექტიულ მითითებებს იმის შესახებ, რომ აუცილებლად შექმნნენ სასწავლო-მატერიალური ბაზა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციისათვის.

სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული ფორმალიზმის შედეგად სკოლებში ჯერ კიდევ მოისუსტება დისციპლინა, დიდია კაკვეთილების გაცდენა არასაპატიო მიზეზით, ხშირად იშლება კაკვეთილები მოსწავლეთა და მასწავლებელთა არყოფნის გამო.

ბევრ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში, სახალხო განათლების რაიონულ და საქალაქო ორგანოებში, კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში ჯერ კიდევ არა აქვთ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანი გეგმები, ხოლო იქ, სადაც ეს გეგმები აქვთ, — ფორმალურ ხასიათს ატარებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების აღმზრდელობითს მუშაობაში ფორმალიზმი ვერ აღმოიფხვრება შარტოოდენ კომკავშირული ორგანოებისა და ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოებისა და პედაგოგიური კოლექტივების გარჯით. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული ფორმალიზმი ორმაგი ბოროტებაა, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მოზარდ თაობას. მისი სწავლა-განათლების, აღზრდისა და ცხოვრებისათვის ისე მომზადების საქმეს, როგორც ამას მოითხოვენ კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია. დაუგზომელ, შეუორგანებელ ბრძოლას ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მუშაობაში არსებული ფორმალიზმის წინააღმდეგ დიდი პოლიტიკური და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველადი პარტიული ორგანიზაციების უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ გადაჭრით, თანამიმდევრულად და შეურიგებლად ებრძოლონ ფორმალიზმის გამოვლინებებს პედაგოგიური კოლექტივების მუშაობაში, მოსწავლეთა აღზრდასა და სწავლა-განათლებაში, აამაღლონ კომუნისტების, სკოლის ხელმძღვანელების, თითოეული პედაგოგის პასუხისმგებლობა გაკვეთილების შინაარსისა და აღმზრდელობითი მუშაობისათვის, პიონერული ორგანიზაციების, მოსწავლეთა კომიტეტებისა და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისათვის, მუშაობაში ფორმალიზმის დაძლევისათვის.

ისინი სისტემატურად უნდა სწავლობდნენ თითოეული სკოლის მოსწავლეთა ყოველი კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციის მუშაობას, იბრძოდნენ თითოეულ სასკოლო კოლექტივში ფსიქოლოგიური, მორალური და პოლიტიკური ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად, საჭიროა სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან და კომკავშირის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებთან ერთად შეადგინონ ერთიანი კომპლექსური გეგმა, თუ როგორ აღმოფხვრან ფორმალიზმი მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა მოუწოდა ყოველნაირად დაუჭირონ მხარი კომკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აღმზრდელობითს მუშაობაში ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ, გაუწიონ მათ კონკრეტული დახმარება ამ საკითხზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ერთობლივი დადგენილების პრაქტიკულ შესრულებაში.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაეკალათ შეადგინონ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების, მოსწავლეთა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობაში ფორმალიზმის აღმოფხვრის ღონისძიებათა ერთიანი კომპლექსური გეგმა, მტკიცედ და განუხრელად იბრძოლონ, რათა აღიკვეთოს ფორმალიზმის, საქმისადმი უსულგულო და ზერელე დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლინება, ბიუროკრატიზმის, თვალისახვევის და დაუდევრობის ფაქტები სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, პედაგოგიური კოლექტივების, საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ყველა რგოლისა და რესპუბლიკის განათლების სისტემის მუშაობაში, მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

საქართველოს პროფსაბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან ერთად კონკრეტული დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს და სახალხო განათლების განყოფილებებს იმ საქმეში, რომ ფართოდ ჩაებან მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერულ-ტექნიკური და შემოქმედი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ცნობილი სპორტსმენები, მოწინავე სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეომრები საზოგადოებრივი საწყისებით მუშაობაში, გაგზავნონ ისინი რაზმის პიონერხელმძღვანელებად, საგნობრივი წრეებისა და სპორტული სექციების ხელმძღვანელებად, კლასების დამრიგებლებად, ხელი შეუწყონ და მორალურად წაახალისონ ის პირნი, ვინც აქტიურად მონაწილეობს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და განათლების სამინისტროს დაავალა შეიმუშაონ კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი პროფესიული და სოციალური ორიენტაციისათვის, ჭალიშვილებსა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდისათვის, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებთან და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებთან არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიებმა სიტემატურად უნდა განიხილონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სამინისტროებისა და უწყებების, მრეწველობის, ტრანსპორტისა და შენებლობის საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სხვა ორგანიზაციების ფორმალიზურ დამოკიდებულებასთან მოსწავლეებთან ახალგაზრდობის აღზრდის, სწავლებისა და შრომისათვის მომზადების პრობლემებისადმი.

ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სპქინფორმმა სისტემატურად უნდა გააშუქონ ბრძოლა, რომელიც წარმოებს ფორმალიზმის წინააღმდეგ, იმ ეფექტიანი მოვლენების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც განაპირობებს ფორმალური დამოკიდებულება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით გაითვალისწინა აგრეთვე მთელი რიგი სხვა ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

(საქინფორმი).

1979 4 თებერვალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთვენების დღეს!

ხალხის ღირსეული წარმომადგენლები

მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ვოლგოგრადის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარემ, ძერძინსკის სახელობის სატრაქტორო ქარხნის ბრიგადიერმა ბ. ბუბნოვმა აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი დათანხმდა კენჭი იყაროს ამ ოლქში.

სხდომაზე მოიწონეს წინადადება, რომ ვ. ვ. კუზნეცოვი რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვოლგოგრადის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვასილ ვასილის ძე კუზნეცოვი.**

ვოლგოგრადის ცენტრალური საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა მეტალურგიული ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის" მეფოლადე **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პოზდნიაკოვი.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბრესტის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის ბრესტის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ნ. სატონოვმა განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი დათანხმდა კენჭი იყაროს ამ ოლქში.

სხდომაზე გამოსულებმა წინადადება შეიტანეს პ. მ. მაშეროვი რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბრესტის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პეტრე მირონის ძე მაშეროვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების კალინინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გახსნა კომიტის თავმჯდომარემ, კალინინის პოლიგრაფიული კომბინატის დირექტორმა ა. თ. ბატანოვამ. მან განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი თანახმაა კენჭი იყაროს დეპუტატად ამ ოლქში.

სხდომაზე გამოსულმა კომისიის წევრებმა წინადადება შეიტანეს ბ. ნ. პონომარიოვი რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი **ბორის ნიკოლოზის ძე პონომარიოვი** რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კალინინის საარჩევნო ოლქში.

კალინინის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს კალინინის ბამბეულის კომბინატის მქსოველი **ლიდია ვიქტორის ასული ტიხომიროვა.**

უზბეკეთის დედაქალაქში გაიმართა ტაშკენტის ოქტომბრის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარემ, უზბეკეთის სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსმა კ. ხ. მუხამედ ალიევამ განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი დათანხმდა კენჭი იყაროს ამ ოლქში.

სხდომაზე გამოსულმა ორატორებმა შეიტანეს წინადადება შ. რ. რაშიდოვი რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვი** რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ტაშკენტის ოქტომბრის საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ყაზახეთის ბურნოეს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარემ, ალმა-ათის ტრანსპორტის ინჟინერ-ტექნიკურ ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტის დეკანმა ბ. ბ. ბეგენოვმა აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი დათანხმდა კენჭი იყაროს ამ ოლქში.

(დასასრული მე-2 გვ.)

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ორი ძიძის ხელში

ასეთია რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის დასკვნა

გორის ხილეულკროვანი ღვინოების ქარხანაში მომხდარ დანაშაულობათა გამოძიების გაჭიანურებას ეხებოდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი „ორი ძიძის ხელში". ამის გამო საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ვ. ჭილაშვილი რედაქციას ატყობინებს:

წერილში მოყვანილ ფაქტებზე იმსჯელეს საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ, რომელმაც სწორად ცნო, რომ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ, ქ. გორის პროკურატურამ და გორის რაიონის პროკურატურამ ქმედითი ღონისძიებანი არ განახორციელეს გორის ხილეულკროვანი ღვინოების ქარხანაში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების დროულად დამთავრებისათვის.

კოლეგიის გადაწყვეტილებით ქ. გორის პროკუროროს ვ. ხირსელს გამოეცხადა საყვედური, ამავე პროკურატურის გამომძიებელს ა. კილასონიას მიეცა შენიშვნა. მკაცრად გაფრთხილეს საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურორი ო. შალიკიანი და გორის რაიონის პროკურატურის ყოფილი გამომძიებელი, ამჟამად ლანჩხუთის რაიონის პროკურორი შ. შავერზაშვილი.

იმის გამო, რომ გამოსაძიებელი საქმე მართლაც აღინიშნება სირთულითა და შრომატევადობით, ქ. გორის პროკურატურაში მივლინებულია გამოცდილი იურისტი — ახალციხის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი თ. ვარდანიძე. ამჟამად ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ გამოძიება ნორმალურად წარიმართოს.

ერთიანობა:

სიტყვის და საქმის, ფორმის და შინაარსის

მიმდინარეობს რესპუბლიკური კომკავშირული კრება, რომლის დღის წესრიგშია: „ფორმალიზმი — აღზრდის უპირველესი მტერი!"

ნათქვამია, მოზარდის სული ნუფთა დაფაა, რასაც მასზე დაწერ, ხელთ იგივე შეგრჩებაო. ამიტომაც განსაკუთრებით შემაშფოთებელი და შეუწყნარებელია ფორმალიზმის ნებისმიერი შემთხვევა, ნებისმიერი გამოვლინება ალმზრდელობითს მუშაობაში, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მოზარდი თაობის აღზრდისათვის მოწოდებული ყველა რგოლის საქმიანობაში.

გასული წლის მიწურულს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე „ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული ფორმალიზმის შემთხვევებისა და მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საკითხის განხილვის შედეგად მიღებული დადგენილება მნიშვნელოვნად სცილდება საშუალო სკოლის ფარგლებს და ამტომ მისი შესრულებისათვის ბრძოლა მარტო სკოლის, მარტო სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე კი არ არის, არამედ რესპუბლიკის თითოეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის, ყოველი კომკავშირული მუშაკის, კომკავშირელისა და ახალგაზრდის, საერთოდ, ყოველი აღმზრდელობითი რგოლის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა.

სწორედ ამის გამო ახლახან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით კომკავშირულ ორგანიზაციებში დაიწყო და პირველ მარტამდე გაგრძელდება რესპუბლიკური კომკავშირული კრება, რომლის დღის წესრიგშია: „ფორმალიზმი — აღზრდის უპირველესი მტერი!" ყოველ კომკავშირულ ორგანიზაციაში გულახდილობის, პრინციპულობის, ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფეროში განიხილავენ დადგენილებას, მის მთავარ მომენტებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით აანალიზებენ ადგილებზე არსებულ მდგომარეობას, კრიტიკულად აფასებენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შექმნილია შტაბი, რომელიც კოორდინაციას უწევს კრების მსვლელობას, კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების სპეციალური სექტორი ოპერატიულად ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად აკონტროლებს მათს შესრულებას.

რესპუბლიკური კრების მონაწილეები მსჯელობენ, თუ როგორ ხორციელდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის V პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია პრინციპი „თითოეულისგან პერსონალური პასუხისმგებლობის მაქსიმუმი, თითოეულს — კომკავშირული ზრუნვისა და ყურადღების მაქსიმუმი!" განიხილავენ, თუ როგორ ხორციელდება „ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, დისციპლინის განმტკიცებისა და კომკავშირელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების საქმეში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" ამ პლენუმზე მიღებული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის განხილვისას მიღებული გადაწყვეტილებები, აანალიზებენ ამ მხრივ გაწეულ მუშაობას.

აღნიშნულმა კრებებმა არა მარტო უნდა ამხილონ ნაკლოვანებები, არამედ უნდა დასახონ კიდეც მათი გამოსწორების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაკტიურების, უკეთ მუშაობის კონკრეტული გზები.

ამასთან მთავარია, რომ თითოეულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ, კომკავშირის კომიტეტმა ყველაფერი იღონონ კრებებზე მიღებული დადგენილებების სრულად განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ აქ გამართულ საუბარს კონკრეტული ცოცხალი საქმე, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ფორმისა და შინაარსის ურთიერთკავშირი მოჰყვეს.

საქართველოს კომკავშირის გრძნობს სისტემატურ ყურადღებას, მხარდაჭერას, ზრუნვას საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისაგან. ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ის, რომ ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელა და მიიღო დადგენილება, რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა 1973 წელს რესპუბლიკური კომკავშირული აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოწეული თეზისისა „შემოვბრუნდეთ ახალგაზრდობის პრობლემებისაკენ!". ლოგიკური გაგრძელებაა ამ თეზისის ხორცშესხმის მიზნით ამ ბოლო წლებში გაწეული დიდი მუშაობისა.

აღნიშნული დადგენილება კიდევ უფრო ზრდის რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაშ, ასე: ამჟამად ჩვენი კომკავშირული ცხოვრების დღის წესრიგშია უმთავრესი საკითხი: შეურიგებლად ვებრძოლოთ ფორმალიზმს!

მ. ასლანიკაშვილი,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

საადრეო კარტოფილის წარმოებას — განსაკუთრებული ზრუნვა!

საადრეო კარტოფილის თესვის, მოსავლის აღების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის სეზონისათვის საგულდაგულო, ყოველმხრივი მზადების საკითხს მიეძღვნა ბოლნისში გამართული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების კარტოფილის მწარმოებელი საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სპეციალისტები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი სამსახურების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე აღინიშნა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში რესპუბლიკის სპეციალიზებულმა მეურნეობებმა შეძლეს შეექმნათ შესაბამისი ბაზა, გამომუშავებინათ გარკვეული ჩვევები, რათა შრომის სრულიად საკავშირო დანაწილებაში მონაწილეობა მიიღონ საადრეო კარტოფილის მწარმოებლებმა და მიმწოდებლებმა. ეს მთელი რესპუბლიკის დიდი წარმატებაა, რომელიც საჭიროა შემდგომშიც განვითარდეს და განმტკიცდეს კონკრეტული საქმეებით.

მიმდინარე წელს მე,კარტოფილეთა ამოცანა კიდევ უფრო გართულდა: იზრდება საადრეო კარტოფილისათვის გამოყოფილი ფართობი, მატულობს მისი წარმოებისა და დამზადების მოცულობა. ბოლნისისა და მარნეულის რაიონები — საადრეო კარტოფილის ძირითადი მიმწოდებლები — დაამზადებენ შესაბამისად 36,8 ათას ტონას და 31,5 ათას ტონას. ეს ციფრები შარშანდელ საგეგმო დავალებას აღემატება 3,8 ათასი ტონით და 5,3 ათასი ტონით. დასახელებული რაიონებიდან სრულიად საკავშირო ფონდში უნდა გაგზავნოს სულ ცოტა 40 ათასი ტონა კარტოფილი.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორიცაა საადრეო კარტოფილის თესვის გრაფიკების შესრულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მწარმოებლების, დამამზადებლებისა და ტრანსპორტის მუშაკების შეთანხმებული ურთიერთმოქმედება, მისასვლელი გზების, პლატფორმების მოწესრიგება, ტარის პრობლემის გადაწყვეტა და ა. შ.

თათბირის შედეგები შეჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

(საქინფორმი).

1979 4 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

ხალხის ღირსეული წარმომადგენლები

მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

(დასასრული)

რალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი დათანხმდა კენჭი იყაროს ამ ოლქში.

სხდომაზე გამოსულმა კომისიის წევრებმა წინადადება შეიტანეს მ. ს. სოლომენცევი გაატაროონ რეგისტრაციაში დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შახტის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **მიხეილ სერგის ძე სოლომენცევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების პროლეტარის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა ქარხანა „როსტოვსოფლმანქანის“ მეხუთავი **ზინაიდა პეტრეს ასული ერიომენკო.**

(საკ.დეს).

ხალხის კანდიდატები

აიგუშის მზიური ყანა

სოფელ ზედა გულრიფშის მცხოვრებლებმა, სადაც მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ ქართველები, აფხაზები, სომხები, თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს 26 წლის აიგუშ გურგენის ასული იანუკიანი.

აფხაზეთის მთის სოფლები ოდითგანვე განთქმულია თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატებით. გამონაკლისი არც ათარა-არმიანსკოეა, სადაც აიგუში დაიბადა. მისი შობლები — დიდი სამამულო ომის ვეტერანი გურგენ და მაირუს ჩადრიანები შთამომავლობით მეთამბაქოეები არიან და კამოს სახელობის კოლმეურნეობაში სურნელოვანი სამსუნის მოყვანის უბადლო ოსტატებად ითვლებიან. მათი შვილები თავიდანვე ეხმარებოდნენ დედ-მამას.

...ბევრი ქალიშვილი გაემგზავრა სხვადასხვა დროს ათარა-არმიანსკოედან —

აიგუშ იანუკიანი.

ზოგი სასწავლებლად, ზოგი კი ქალაქში სამუშაოდ. მაგრამ მთელი კოლმეურნეობა მხოლოდ აიგუშს მიაცილებდა. მსუბუქი ავტომანქანების — „უიგულების“, „მოსკვიჩების“ და „ვოლგების“ საქორწილო კორტეჟი მიჰყვებოდა. მას სოფელ ზედა გულრიფშში. ეს მოხდა 1970 წელს, როცა ერთმანეთს დაუნათესავდა ჩადრიანებისა და იანუკიანების ოჯახები. იმ წელს აიგუში მისსიოკოვის სახელობის კოლმეურნეობის მძღოლის ფარკევ იანუკიანის მეუღლე გახდა. ასე გამოიცვალა აიგუშმა მამის გვარი.

მისსიოკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობის მთელი რვა წლის განმავლობაში აიგუშის სახელს მუდამ აყოლებდნენ ეპითეტებს: შრომისმოყვარე, ბეჯითი, სიტყვის პატრონიო. აიგუში მართლაც სანმიანი, დაუღალავი მშრომელია და ამიტომაც მუდამ მოჰყავს თამბაქოს უხვი მოსავალი.

აი „უკვე“ მეცხრე წელია აიგუში პირად გეგმებს სულ ცოტა 150 პროცენტით ასრულებს. ძნელი იყო შარშანდელი გაზაფხული, მაგრამ ახალგაზრდა კოლმეურნემ მაინც შეძლო დაემზადებინა 515 კილოგრამი სამსუნი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 300 კილოგრამისა. თამბაქოს ჰექტარობრივი მოსავლიანობა აიგუშმა თავის ნაკვეთზე 20,6 ცენტნერამდე გაზარდა.

თანასოფლელები ახალგაზრდა კოლმეურნეს პატივს სცემენ არა მარტო შრომისმოყვარეობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ იგი გულისხმიერი ადამიანია. კომკავშირელი აიგუში სასოფლო საბჭოს დეპუტატია.

თ. ჯიბუტი,
(საქინფორმის კორ.).

2. ცხვარი მრავლდება

ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ცხვრის ფერმას ათასზე მეტი ბატკანი უკვე შეემატა, დასადოლებელია კიდევ 7.000-ზე მეტი. წლეულს ამ კოლმეურნეობის ცხვრის ფარები, რომლებიც 13.300 სულ პირუტყვს ითვლის, 22 ათასამდე იმატებს.

არჩევნების შესახვედრად მეცხვარეები ენერგიულად შრომობენ. მათ ყურადღებას არ აკლებენ რაიონისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები. ისინი ხშირად ჩადიან ფერმებში, ეხმარებიან მწყემსებს, კულტურის მუშაკები მათთვის კონცერტებს მართავენ.

ამ დღეებში, დოლის დროს, მეცხვარეებთან თავიანთი თავმჯდომარე რ. ხუნაშვილი ჩავიდა და თან სიღნაღის რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა ჩაიყვანა. ბრიგადის წევრები მწყემსებს საინტერესო საკითხებზე ესაუბრნენ, გამართეს კონცერტი.

სურათებზე: ზემოთ — ფერმის გამგე გ. ლაზარიაშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ხუნაშვილი და ბრიგადირი ნ. ჯანიაშვილი ფერმაში; ქვემოთ — რაიონის კულტურის სახლის მუშაკები მეცხვარეებისათვის კონცერტს მართავენ.

ი. დავითაშვილის ფოტო,
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აფხაზეთის მშრომელთა გადიდებული ვალდებულებანი

სოხუმი, 31 იანვარი. (საქინფორმი). აქ გიმართა აფხაზეთის პარტიულ- სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც მოისმინეს და განიხილეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ჯ. უბილავას მოხსენება ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებებისა და ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის ასსრ მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, დამკვრელური შრომით აღნიშნეს მეათე ხუთწლედის მესამე წელი. აფხაზეთის მრეწველობამ ვადამდე, 1978 წლის 26 დეკემბერს შეასრულა წლიური დავალება, შემხვედრი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. გეგმის გადაჭარბებით დამზადებული 7,5 მილიონი მანეთის პროდუქცია და რეალიზებულია 8,3 მილიონი მანეთისა.

საწარმოებში განუხრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად უმჯობესდება მუშაობის ხარისხიც.

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. რეკორდული მოსავალი მოიწიეს მეჩაიეებმა, რომლებმაც 81 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის. ფოთოლი დაამზადეს. გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსების, ეთერზეთოვანი კულტურების, ბოსტნეულის დამზადების გეგმები.

მაგრამ, აღნიშნეს კრების მონაწილეებმა, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების სფეროში ჯერ კიდევ ბევრია წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუჯობესების გამოუყენებელი რეზერვები.

კრების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის ახალი სტიმულია სსკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შორის ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

პარტიულ - სამეურნეო აქტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო 1979 წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც წინასწარ განხილეს ავტონომიური რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში. გადაწყვეტილია სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას წლიური გეგმა და ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა შეასრულონ 1979 წლის 1 დეკემბრისათვის, 7 მილიონი მანეთით გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა, ანუ აწარმოონ 159 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მიწათმოქმედების პროდუქტები.

კრებაზე მიიღეს აფხაზეთის მეჩაიეთა მომართვა საქართველოს მწვანე პლანტაციების მშრომელებისადმი მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის ჩაის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

კრება შეჯამა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ.

უხვი მოსავლის საფუძველი

რესპუბლიკაში შარშანდელზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მომზადება. კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში იანვრის პირველ ნახევარში კონდიციური თესლი მომზარაგებული ჰქონდათ გეგმის 112 პროცენტის რაოდენობით. 50 რაიონიდან 33-მა გააუმჯობესა თესლის მომზადების ხარისხობრივი მაჩვენებლები. წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გააფართოონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების საგაზაფხულო ნათესების ფართობი, ამიტომაც მეტი თესლია საჭირო. გარდა ამისა უნდა ჰქონდეთ გარკვეული მარაგი, თუ საჭირო გახდა საშემოდგომო ნათესების ნაწილის ხელახლა დათესვა, აგრეთვე საგაზაფხულო ნათესებისათვის.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, იანვრის პირველ ნახევარში შემოწმდა თითქმის მთელი თესლის გაღივების უნარი, ხარჯიანობა, ტენიანობა. საგაზაფხულო, მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი (გარდა სიმინდისა) კულტურების მთელი რაოდენობიდან კონდიციური აღმოჩნდა 155.801 ცენტნერი, არაკონდიციური — 8.561 ცენტნერი.

აქედან ჩანს, რომ ყველა მეურნეობაში სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სათესლე მასალის ხარისხს, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ მაღალი ხარისხის თესლი სხვა თანაბარ პირობებში უზრუნველყოფს მოსავლის ორი-სამი ცენტნერით მატებას ჰექტარზე. არაკონდიციური თესლი აღმოჩნდათ ახალქალაქის რაიონში 44 პროცენტი (მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურებისა), ასპინძისში — 24, ქარელისაში—60, ბორჯომისაში — 22, მცხეთისაში — 32, მარნეულისაში — 29, ბოლნისისაში — 28, თიანეთისაში — 33, ამბროლაურისაში — 30, ბესლეთის რაიონში — 23 პროცენტი.

სათესლი მასალის მომზადების დროს თავის შესაძლებლობებს სრულად არ იყენებს ბევრი პურეულის მიმღები პუნქტი. მუშაობის ხარისხი აქ მეტ წილ შემოთვეებში უფრო დაბალია, ვიდრე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს აქვთ მაღალწარმოებული მარცვალსაწმენდი ტექნიკა, საშრობი მანქანები და შეუძლიათ მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე დასათესად მომამზადონ მაღალკონდიციური თესლი.

(საქინფორმი).

ბ. კრაისკის განცხადება

ვენა, 30 იანვარი. (საკდესი). ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა სტაბილური ხასიათისაა და წინაადმდეგობებით არ არის დამძიმებული, ეს განაცხადა ავსტრიის კანცლერმა ბ. კრაისკიმ უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ავსტრიის მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის ქვეყანას განზრახული აქვს შემდგომშიც მხარი დაუჭიროს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობას. მან აღნიშნა, აგრეთვე სტატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების უსწრაფესად დადების აუცილებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ამეროფხვრასთან, მოიყვანეს დარგის მთელი რიგი ხელძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლობისა და უდისციპლინობის მრავალი ფაქტი.

კრებაზე მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ყველა მუშაკისადმი.

ვაჭრობის მუშაკთა აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა.

(საქინფორმი).

საქართველოს სსკპ ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი

ირანი: ოპოზიციის მანევრები

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს შეერთებული შტატები დაადგა ირანში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისის გაჭიანურების კურსს იმ ვარაუდით, რომ ოპოზიციის გათიშვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებანი საბოლოო ანგარიშით წარმატებას მოუტანს შაჰს მიერ დანიშნულ ბახტიარის მთავრობას. მაგრამ, პოლიტიკური მიმომხილველების აზრით, ამგვარი პოლიტიკა მხოლოდ კიდევ უფრო ამწვავებს ვითარებას ქვეყანაში, იწვევს ახალ სისხლისმღვრელ შეტაკებებს, ათი ათასობით ადამიანის დაღუპვას.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა რ. კლარკმა, რომელიც ამასწინათ ეწვია თეირანს, აგრეთვე პარიზში შეხვდა ოპოზიციის ლიდერს აიათოლა ჰომეინის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შაბა-ბინაში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ირანის მოსახლეობის 99 პროცენტი შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ ილაშქრებს. როგორც რ. კლარკმა აღიარა, შაჰის მიერ დანიშნული ბახტიარის მთავრობა სრულ იზოლაციაშია. უპასუხა რა კითხვაზე, რატომ არის, რომ შეერთებულ შტატებს მიაჩნია, თითქოს ბახტიარი „სტაბილიზაციის ფაქტორი“ იყოს ირანში, მან აღიარა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას საფუძვლად უდევს არა რეალობანი, არამედ ილუზიები“. „ირანში, — განმარტა რ. კლარკმა, — იძულებული ვიყავით არჩევანი მოგვეხდინა ილუზიისა და სასოწარკვეთას შორის. ჩვენ ვარჩიეთ პირველი— იმის ილუზია, თითქოს ბახტიარს შეეძლებოდა „პრემიერ-მინისტრობა“. იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა აღნიშნა, მთელ მსოფლიოში შეერთებული შტატები მხარს უჭერს დიქტატორულ რეჟიმებს, ასეთი საგარეო პოლიტიკა კი განწირულიაო.

ძალები, რომლებიც ცდილობენ ჩაახშონ შაჰისა და ამერიკის საწინააღმდეგო მღელვარებანი ირანში, ახლა სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებენ. მათ ესმით, რომ ჰომეინის ჩამოსვლა სეროზულ ლახვარს ჩასცემს საერთოსახალხო მოძრაობის „შეკვეცის“ მთა გეგმებს. ამიტომ ქმნიან ახალ-ახალ დაბრკოლებებს მისი დაბრუნების გზაზე. თუმცა ხელისუფლებმა გამოაცხადეს ეროპორტებს ბანსა, მაგრამ ისინი კვლავინდებურად არ აძლევენ სანქციებს იმას, რომ ჰომეინის თვითმფრინავი ირანში დაჯდეს.

ბახტიარის მთავრობა მიმართავს სხვადასხვა მანევრებსაც. შაჰის მიერ დანიშნულმა პრემიერმა განაცხადა, რომ მზად არის ქვეყანაში განახორციელოს მთელი რიგი „გარდაქმნები“, მაგრამ მხოლოდ ამას „კონსტიტუციის ფარგლებში“ იზამს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ახლანდელი მთავრობა პირობას სდებს განახორციელოს კუდმოკვეცილი რეფორმები, ამასთან შეინარჩუნოს მონარქია. უწევს რა რეკლამას თავის „რეფორმებს“, ბახტიარი ცდილობს მოიგოს დრო და შეანელოს სახალხო მღელვარების სიმწვავე. ახლა, წერს პარიზის „ლუმანიტე“, ბახტიარის მთავრობა უწინარეს ყოვლისა თავს ატყდება ფიფიცების მონაწილეებს, რომლებმაც მოშალეს ირანის ეკონომიკა. ხელისუფალნი არ ერიდებიან გაფიცვების ორგანიზატორთა დახვრეტას, მუშებზე ახდენენ მატერიალურ ზეგავლენას.

თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე ბახტიარი ამტკიცებდა, რომ არმია, თავისი ნებით კი არ ხვრეტს დემონსტრანტებს, და რომ ქვეყანაში გამძვინვარებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, თითქოს „წამქეზებელთა“ მოქმედების შედეგი იყოს. მაგრამ ყოველივე ეს არ შეესაბამება სამქმის ფაქტიურ ვითარებას და იმის ცდაა, რომ თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. თვით ბახტიარს არაერთგზის განუცხადებია, რომ არმია უშუალოდ ემორჩილება პრემიერ-მინისტრს და მაშასადამე, მასობრივი დახვრეტა მისი მითითებით ხდება.

წარუმატებლად დამთავრდა ბახტიარის ტრიუკიც პარიზში გამგზავრებასთან დაკავშირებით, რომელიც მას თითქოსდა ჰომეინისთან შეხვედრისათვის უნდოდა. მაგრამ ეს მიზნად ისახავდა დროის მოგებას და ჰომეინისა და ახლანდელ რეჟიმს შორის კონტაქტების დამყარების შთაბეჭდილების შექმნას.

საქართველოს სსკპ ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი

მოქმედებენ კომკავშირული რეზერვები

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მობილიზაციის შესახებ.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შარტავამ.

როგორც მოხსენებაში, ისე ორატორთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ პარტიის საქმისადმი, კომუნიზმის დიადი იდეალებისადმი ერთგულებას რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა ამტკიცებენ შთაგონებული შრომით, ჩინებული სწავლით, მაღალი სოციალური, პოლიტიკური აქტიურობით. მათი ენერგიული, ეჩქეფარე ცხოვრების ღერძი გახდა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!“ ათასობით ახალგაზრდა წარმოების მუშაკმა ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი. სოფლის ახალგაზრდობამ თავისი დიდი წვლილი შეიტანა რეკორდული ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების, აგრეთვე ყურძნის, ციტრუსების, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულების საქმეში.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობენ იმ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყველგან განმტკიცების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის სრული გაჯანსაღებისა და წარსულის ნეგატიური მოვლენების შედეგების საბოლოო აღმოფხვრისათვის. იმ დროს, როცა მიმდინარეობდა ახალგაზრდა თაობის გადაძახილი „ხარი ვუსწოროთ კომუნისტებს!“ გამოცოცხლდა ახალგაზრდული კოლექტივების საქმიანობა, გაიზარდა ქალიშვილებისა და ჭაბუკების შეგნება და საზოგადოებრივი აქტიურობა, განმტკიცდა მათი დისციპლინა.

ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომითს აღზრდაში სერიოზული ხარვეზებია. ყველგან როდი სრულდება საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მითითება, რომ თითოეულ ახალგაზრდას შეეუქმნათ ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის პირობები.

მთელ რიგ კომკავშირის კომიტეტებში არ ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდის ძირეული გაუჯობესებისათვის. დაბალია იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დონე, რომელთა მიზანია ახალგაზრდათა შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილება, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის ფორმალიზმის, ზეგზეობის ელემენტები, სრულად არ ხორციელდება პარტიის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა „ჩავწვდეთ თითოეულს, ვიმუშაოთ თითოეულთან!“

პლენუმმა საქმიანად, პრინციპულად განიხილა მნიშვნელოვანი პრობლემები და განსაზღვრა მოქმედების ზუსტი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში დასახული ამოცანების გადაწყვეტას. კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტმა უნდა შიაღწიონ იმას, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები, თითოეული ახალგაზრდული კოლექტივი დარაზონ ხუთწლედის მეოთხე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

ახალგაზრდობის შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, ხაზგასმით აღინშნა პლენუმზე, ხელს შეუწყობს მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის. ყოველი ახალგაზრდული კოლექტივი, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი უნდა გახდეს აქტიური მონაწილე შეჯიბრებისა, რომელიც იმართება 1979 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით ქალაქ ულიანოვსკის ლენინის მემორიალში, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახასოვრო წითელ დროშასთან ფოტოსურათის გადაღების უფლებისათვის.

პლენუმზე მოისმინეს ინფორმაციები „როგორ სრულდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გაერთიანებულ გაფართოებულ სხდომაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები „ზოგადსაგანათლებლო სკოლების აღმზრდელობითს მუშაობაში ფორმალიზმის შერეთხვევებისა და მათი აღმოფხვრისათვის ბრძოლის გადაჭრით გაძლიერების ღონისძიებათა საკითხზე“ და „როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკური კომკავშირული კრება: „ფორმალიზმი აღზრდის უპირველესი მტერია“.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ბ. მეგრელიშვილის

პასუხის-მგებლობა, წესრიგი

საქართველოს სსრ ვაჭრობის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე განიხილეს 1978 წლის მუშაობის შედეგები და ის ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა წინაშე დგას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების, დისციპლინის განმტკიცების, მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ვაჭრობის მინისტრის ბ. მეგრელიშვილის მოხსენებაში და კრების მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა ვადამდე, 25 დეკემბრისათვის შეასრულეს 1978 წლის საქონელბრუნვის გეგმა და ხუთწლედი სამი წლისათვის დასახული დავალებები. გასულ წელს საქონელბრუნვის ზრდის ტემპმა შეადგინა 5,5 პროცენტი, რაც გეგმით გათვალისწინებულს და საშუალო საკავშირო დონეს აღემატება. სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში საქონელბრუნვა 17,9 პროცენტით გაიზარდა, რაც შეესაბამება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მითითებებსა და ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებლებს.

კრების მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა სავაჭრო მომსახურებაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან, მოიყვანეს დარგის მთელი რიგი ხელძღვანელი მუშაკების უპასუხისმგებლობისა და უდისციპლინობის მრავალი ფაქტი.

კრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ყველა მუშაკისადმი.

ვაჭრობის მუშაკთა აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა.

(საქინფორმი).

განუხრელად დავამკვიდროთ საქმიანობის ლენინური პრინციპები

გ. ვ. კოლგინი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი

□

საბჭოთა საქართველოს, ისევე, როგორც მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის, კომუნისტებმა, მშრომელებმა მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი დაიწყეს უშრეტი შემოქმედებითი ენერგიით, შემდგომი აღმშენებლობითი საქმიანობისადმი იმ მხურვალე მისწრაფებით, რომ ამრიგად სკკპ XXV ყრილობის, რესპუბლიკის კომპარტიის XXV ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი და მიღწევები.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, ქალაქებისა და სოფლების მშრომელების სწორედ ასეთ საბრძოლო, პატრიოტულ განწყობილებას მოწმობს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის კეთილი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო წელიწადი საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რა მტკიცედ ასხამენ ხორცს პრაქტიკული საქმეებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ამან არ შეიძლება არ გგვაბაროს, რადგან კარგი დასაწყისი გვმატებს იმის რწმენას, რომ ხუთწლედის მორიგი, მეოთხე საფეხური წარმატებით იქნება დაძლეული.

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1979 წლის პროგრამა საკმაოდ რთული, წლის სამუშაო დავალებანი მეტად დაძაბულია. ისინი გულდასმით და ყოველმხრივ იყო განხილული გასული წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, შემდეგ კი დამტკიცდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

მოკლედ შევჩერდებით, ძირითად განმაზოგადებელ ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებზე, რომლებსაც რესპუბლიკამ უნდა მიაღწიოს მომდინარე წელს. **უწინარეს ყოველისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლების მთავარი თავისებურებაა რესპუბლიკის საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის შემდგომი დაჩქარებული ზრდის, საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან მათი მიახლოების უზრუნველყოფა.**

ამავე დროს მათ აქვთ ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტიც, როგორიც არის რესპუბლიკის თითოეული რეგიონის — აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სოციალისტური საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის დინამიკური და პროპორციული განვითარება.

უკვე კანონად ქცეული 1979 წლისათვის დამტკიცებული გეგმის მიხედვით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და წარმოებული ეროვნული შემოსავალი 1975 წელთან შედარებით შესაბამისად უნდა ზრდიდეს 27,8 და 31,5 პროცენტით, რაც ხუთწლიანი გეგმის დავალებაზე მნიშვნელოვნად მეტია.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გეგმის მიხედვით წლის მანძილზე უნდა გაიზარდოს 7 პროცენტით, კაპიტალური დაბანდებებისა — 10 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 4,2 პროცენტით შარშანდელთან შედარებით.

ეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გათანაბრებისათვის.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დასახული ტემპი უზრუნველყოფილი იქნება სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების ფართო მასშტაბით. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება მიმდინარე წელს 7 პროცენტით გაიზრდება.

ყოველივე ამასთან ერთად, **მიმდინარე ხუთწლედში ეკონომიკის აღმავლობის ღერძი იყო და არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეურნეობრიობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის განუხრელი გაუმჯობესება.**

და რა თქმა უნდა, **ეს ამოცანები უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად ჩვენი პარტიის ყველაზე კეთილშობილურ მიზანს — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მისი ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას ემსახურება.**

რესპუბლიკის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა, რომლებმაც მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განმტკიცებული ბიუროს, სკრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, იკისრეს ვალდებულება არა მარტო შეასრულონ 1979 წლისა და ხუთწლედის ოთხივე წლის გეგმები, არამედ მნიშვნელოვნად გადააჭარბონ კიდეც მათ ბევრი უმნიშვნელოვანესი პარამეტრის მიხედვით. ეს ვალდებულებანი, როგორც ცნობილია, შრომითმა კოლექტივებმა იკისრეს იანვრის შუა რიცხვებში გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. ისინი გამოქვეყნდა და თავისებურ კომპასად იქცა საყოველთაოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მძლავრი სტიმული, ამ შეჯიბრებას ნამდვილად საყოველთაო-სახალხო გაქანება რომ მიანიჭა, გახდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი არჩევნები, რომელიც გაიმართება პირველად სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი ძირითადი კანონების მიღების შემდეგ. სსრ კავშირს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის თვით მზადება, მთელი ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანია კვლავ დამაჯერებად ცხადყოფს დემოკრატიის გაბარჯვების განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ლენინური პრინციპების ურყევობას.

ამრიგად, დღეს სავსებით გარკვეულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასახულია ხუთწლედის მეოთხე წლის მთავარი, ფუძემდებელი ორიენტირები, და საჭიროა მაქსიმალურად დაჭარაზოთ და შევაკავშიროთ მთელი ჩვენი პარტიული რიგები, ყველა შრომითი კოლექტივი, რათა ყველაზე უნარიანად და ეფექტიანად განხორციელდეს პარტიისა და ხალხის კოლექტიური აზრითა და კოლექტიური ნებით შემუშავებული დავალებანი.

მკაფიოდ რომ განსაზღვრონ თავიანთი საქმიანობის შემდგომი მიმართულება, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა გულდასმით და ყოველმხრივ უნდა გააანალიზონ უკანასკნელ პერიოდში, მათ შორის ხუთწლედის მესამე წელს გაწეული მუშაობა, შეიარაღდნენ ყოველივე იმით, რაც კარგი, სასარგებლოა, და უფრო გაბედულად გაემიჯნონ ყოველივე იმას, რაც არ იძლევა სათანადო ეფექტს, რაც ხელს უშლის რესპუბლიკის ძლევამოსილ წინსვლას დასახული მიჯნებისაკენ. ამ თვალსაზრისით რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეიძინა უმდიდრესი გამოცდილება, რაც ახლანდელ ეტაპზე საქართველოს კომპარტიის ცხოვრებისა და საქმიანობის თავისებური ოქროს ფონდია. ეს გამოცდილება განზოგადებული იყო უკანასკნელ თვეებში გამართულ საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციების დროსაც.

თუ ამ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, უნდა გამოვიტანოთ ერთი განმაზოგადებელი დასკვნა: **პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილებისა და მისი შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის დადგენილების განსაზოგადოებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე იყო და არის ბრძოლა მუშაობის ლენინური სტილის, ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენა-დამკვიდრებისათვის და, უწინარეს ყოვლისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ყოველნაირი განმტკიცებისათვის, პარტიული, სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ყველა სფეროში, ყველა უბანზე, დისციპლინის განმტკიცებისათვის ყველგან და ყველაფერში.**

ამავე საკითხებე საფუძველია, ღრმად პრინციპული პარტიული სკა-ბაასი გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ XV პლენუმზე, რომელმაც განიხილა ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მიერ 1978 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში, მოისმინა ინფორმაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ რესპუბლიკის სამინისტროებიანი ორგანოები ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ამ პლენარულმა სხდომამ კვლავ ცხადყო, რომ **რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში მკვიდრდება კარგი ტრადიცია, რომელსაც საფუძვლად უდევს შინაპარტიული დემოკრატიის, შესრულების კონტროლისა და შემოწმების ლენინური პრინციპები, როცა არჩევითი კოლეგიური ორგანო ანგარიშს აბარებს ცენტრალურ კომიტეტს, აანალიზებს თავის მუშაობას და კოლექტიური აზრის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემდგომი საქმიანობის გენერალურ გზს.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა 1978 წელს მიზნად ისახავდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლედის მესამე წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით რეალიზაციას, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფას სკკპ ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო მითითებებიდან გამომდინარე ამოცანების უთუო გადაწყვეტისათვის.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს, მისი განყოფილებების, მთლიანად აპარატის მუშაობის ფორმები და მეთოდები დღენიადაგ იხვეწება, უმჯობესდება სტილი, მაღლდება შედეგიანობა.

საგულისხმოა, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ზოგიერთი საკითხი განხილული იყო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ხელმძღვანელი ამხ. ნ. ვ. ტიმოფეევი, ხელისუფლებამშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების მინისტრი ამხ. კ. ნ. რუდნევი, ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ამხ. ბ. ი. ბრატჩენკო, ქიმიური მრეწველობის მინისტრი ამხ. ლ. ა. კოსტანდოვი, ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. კ. ანტონოვი და სხვები.

დიდი, მრავალმხრივი საქმიანობა მიზნად ისახავს მთლიანად მეფუბაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას. გაიშალა ბრძოლა არა მარტო წარმოების საერთო მოცულობის მიხედვით, არამედ მთლიანად მაჩვენებლების კომპლექსის მიხედვით ეფექტიანობისა და ხარისხის ეფექტიანობისა. ეს ბრძოლა

ცხოვლად სულს დაარჩნდების

მსოფლიო ლიტერატურის შედევრები — გავშვეგს

ჩვენი ქვეყნის 70-ზე მეტი გამომცემლობა მილიონობით ტირაჟით 52 ენაზე უშვებს წიგნებს ბავშვებისათვის.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურა“ (მსოფლიოს უდიდესი სპეციალიზებული გამომცემლობა) შეუდგა 50-ტომიანი „საბავშვო მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ გამოშვებას. ამ „ბიბლიოთეკაზე“ ესაუბრება ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი გამომცემლობის მთავარ რედაქტორს ალექსანდრე ვინოგრადოვს.

— როგორ იშვა ასეთი გამოცემის აზრი?

— ათიოდე წელია გამომცემლობა „ხუდოჟესტვენაია ლიტერატურაში“ გრძელდება 200-ტომიანი „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ გამოშვება. ამ უპრეცედენტო გამოცემას დიდი მოწონებით შეხვდა საბჭოთა საზოგადოება. გამომცემლობებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მოდიოდა მრავალი წერილი, რომლებშიც წინადადებებს იძლეოდნენ შექმნილიყო ანალოგიური საბავშვო და საყმაწვილო კრებული.

ბავშვობა და ყრმობა პიროვნების ჩამოყალიბების, ცოდნისა და სულიერ ღირებულებათა აქტიური ათვისების ხანაა. განა საჭიროა იმის თქმა, თუ რაოდენ დიდია ნიჭიერად დაწერილი წიგნის როლი აღზრდის საქმეში? ამიტომ წინადადებას, რომ შევკრიბოთ ბავშვებისათვის ერთ თარაზე, ერთიანი სერიული გაფორმებით მსოფლიოში ოდესმე გამოსული საუკეთესო ნაწარმოებების ბიბლიოთეკა, ფართო ინტერესითა და მხარდაჭერით შეხვდნენ. და გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ“ დაიწყო ამ ფართო ჩანაფიქრის განხორციელება.

— როგორ განსაზღვრებოდა ახალი „ბიბლიოთეკის“ შინაარსი? როგორია მისთვის ნაწარმოებების შერჩევის პრინციპი?

— ამ მუშაობაში ჩვენ ჩავაბით მწერლები, ლიტერატორები, პედაგოგები და მხატვრები. დიდი პაექრობა იყო იმის თაობაზე, თუ ვისთვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული გამოცემა — უმცროსი, საშუალო თუ უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. ბოლოს და ბოლოს, მივიღეთ გადაწყვეტილება: „ბიბლიოთეკა“ გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის. მასში შევა 120 მწერლის ნაწარმოებები, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის „ოქროს ფონდია“.

მაინც კონკრეტულად რას იღებენ ნორჩი მკითხველები ამ „ბიბლიოთეკიდან“?

რა თქმა უნდა, ასეთი კრებული, აუცილებლად უნდა იყოს ძველი რუსული, ბერძნული და სხვა ლიტერატურათა ძეგლები.

ამჟამად უკვე გამოცემულია 10 ტომი, თანაც ისინი სხვადასხვაგვარად არის შედგენილი. მაგალითად, პუშკინისა და ლერმონტოვის ნაწარმოებებს დათმობილი აქვს ორი დამოუკიდებელი ტომი. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, კრილოვის იგავ-არაკები, ნეკრასოვის ლექსები და პოემები მოცემულია ერთ წიგნში. ერთ წიგნშია თავმოყრილი კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, კიპლინგის „მაუგლი“ და მილნის „ვინი-პუჰი“, აი ჟიულ ვერნი, დიუმა და მარკ ტვენი კი ცალკეულ ტომებში „განლაგდნენ“. ნორჩმა მკითხველებმა მიიღეს აგრეთვე გერცენისა და ჩერნიშევსკის, ლევ ტოლსტოისა და შოლოხოვის, მაინ რიდისა და სტივენსონის ნაწარმოებები.

„ბიბლიოთეკაში“ გამოვა რამდენიმე კრებული და ანთოლოგია: „რუსი პოეტები სამშობლოზე“, „რუს მწერალთა ზღაპრები“, „სსრ კავშირის ხალხთა პოეზიის ანთოლოგია“, „სსრ კავშირის ხალხთა მწერლების მოთხრობები“, „საზღვარგარეთელ მწერალთა მოთხრობები“, „საზღვარგარეთის ქვეყნების პოეტების ლექსები“.

გამოცემის ყველა ტომს დართული აქვს საფუძვლიანი წინასიტყვაობანი და კომენტარები, მხატვრულად გაფორმეს წიგნის გრაფიკის გამოჩენილმა ოსტატებმა,

ბ. ჩუბარი.

„ნაკადული“ — ნორჩ მკითხველს

რა საინტერესო გამოცემები დაამშვენებს წელს ჩვენი ნორჩების წიგნის თაროს? ასეთი შეკითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორს არჩილ სულაკაურს. აი, რა თქვა მან:

1979 წელი ბავშვთა საერთაშორისო წელიწადად არის გამოცხადებული. გამომცემლობამაც სერიოზულად იფიქრა ამაზე და ბევრი ლამაზი წიგნის გამოცემა გადაწყვიტა მათთვის.

სერიით „იყო და არა იყო რა“ გამოვა გამოჩენილ მხატვართა მიერ ფერადი ილუსტრაციებით დასურათებული ქართული ხალხური ზღაპრები: „დათვი და მელა“, „ძძლეთამძლე“, „სიზმარა“.

ასევე ფერადი ილუსტრაციებით არის განზრახული ქართველი კლასიკოსების: სულხან-საბა ორბელიანის „იგავ-არაკების“, ი. ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“, „ვაჟა-ფშაველას „საბავშვო მოთხრობების“ გამოცემა.

„წყაროს“ სახელწოდებით გამოვა ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებისა და ხალხური შემოქმედების თითო ნიღში. რომელსაც ასევე ასურათებენ მხატვარი [illegible] ნიმუშებს, ერთად შეკონილი ბეიღლის მკითხველი. ოფსეტის წესით დაიბეჭდება ნიკო ადელაშვილის ბიერ შეკრებილი ქართული ხალხური ზღაპრები.

[illegible] ქართველ მწერალთა [illegible] ასაკის [illegible] ა. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ვ. ყაფლანიშვილის, ნ. კერესელიძის, გ. წერეთლის, გ. ჭიჭინაძის, ჯ. ნიქობაძისა და სხვათა ლექსები. თ. ჩხაიძის, ჭ. ამირეჯიბის, ე. მერაბიშვილისა და სხვათა მოთხრობები.

უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვებისათვის დაიბეჭდება დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“.

ფერადი ილუსტრაციებით გაფორმდება აგრეთვე რუს და უცხოელ მწერალთა მრავალი ნაწარმოები. მათ შორის — ლ. ტოლსტოის „სამი დათვი“, ა. პუშკინის „რუსლან და ლიუდმილა“, ლონგფელოს „ჰაიავატას სიმღერა“, შარლ პეროს ზღაპრები და სხვა.

ამდენი ფერადი წიგნი ნაკადულს ალბა ხანია არ დაუბეჭდავს. წელს განსაკუთრებით მოვინდომეთ, რომ ლამაზი და საინტერესო გამოცემებით გაეხაროთ ჩვენი ნორჩი მკითხველი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. პატარები ყოველ საღამოს მოუთმენლად ელიან მორიგ ტელეგადაცემას „ღამე მშვიდობისა, პატარებო!“. ყოველდღე 20 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით მათ ეკრანიდან ესტუმრებიან საყვარელი გმირები — ძაღლი ფილია, კურდღელი სტეპაშკა, გოჯი ხრიუშა და სხვები, უჩვენებენ მულტფილმებს, ზღაპრებს...

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: (ზემოთ მარცხნივ): ცენტრალური ტელევიზიის დიქტორი ანგელინა ვოვკი ექვსი წელია მონაწილეობს გადაცემაში „ღამე მშვიდობისა, პატარებო!“

ᲐᲜᲒᲝᲚᲔᲚᲘ მოსწავლეები. დღეს ანგოლაში მარტო დაწყებითს სწავლებაში ჩაბმულია 600 ათასზე მეტი ბავშვი. 1980 წლისათვის სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი მიიჯდება მერხს (სურათზე ზემოთ). სპუტნიკის ფოტოქრონიკა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ჯავაირა ხუტულაშვილის დაბადების 90-ე წლისთავი

ᲘᲛ სახელოვან რევოლუციონერ ქალთა შორის, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ მშრომელთა საქმის გამარჯვებისათვის, ერთი საპატიო ადგილი მიეკუთვნება ჯავაირა არკადის ასულ ტერპეტროსიან-ხუტულაშვილს.

იგი დაიბადა ქალაქ გორში. უფროსი ძმა სიმონ (კამო) ტერპეტროსიანი და ოთხი და დედით ადრე დაობლებულნი, დედამ თბილისში წამოიყვანა, დედობრივი ზრუნვა არ მოაკლო დისწულებს, ხოლო მის შემდეგ, რაც კამომ მებრძოლი სულისკვეთება შეიტანა ოჯახში, ოთხივე და, დედა და მისი მეუღლეც კი რევოლუციის საქმეს ემსახურებოდნენ.

14 წლიდან ჯავაირა—მესამე ქალთა გიმნაზიის მოსწავლე — კამოსა და მისი ამხანაგების გავლენით რევოლუციურ მუშაობაში ჩაება. იგი იყო აგიტატორი, პროპაგანდისტი, არალეგალური წრეების ორგანიზატორი, ბოლშევიკური ბეჭდვითი საქმის ოსტატი, ბარიკადებზე მებრძოლი, მზვერავი, მან სახელოვნად აითვისა იატაკქვეშელი მუშაკის მძიმე, მკაცრი რისკისა და თავგანწირული ბრძოლის ხელოვნება.

მეფის ჟანდარმერიას არ გამოეპარა 16 წლის ჯავაირას პირველი რევოლუციური ნაბიჯი და იგი გამნაზიიდან გარიცხა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. ახალგაზრდა გოგონა თბილად მიიღო თბილისის პროფესიონალ-რევოლუციონერთა უფროსმა თაობამ.

1904-1905 წლებში არ ყოფილა არცერთი ღონისძიება კავკასიის კავშირის კომიტეტისა, რომელშიაც ჯავაირას არ მიეღო აქტიური მონაწილეობა, ხოლო 1905 წ. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს მუშათა რაიონში (ნაძალადევი) ჯავაირა ბარიკადებზე იყო. იგი მუშაობდა ავტალაში ასაფთქებელი იარაღების დამზადებელ სახელოსნოში გადაჰქონდა დამზადებული იარაღი აჯანყების შტაბში.

1907 წ. ჯავაირა კამოს მებრძოლი რაზმის თვალსაჩინო წევრი იყო.

1907 წლის 13 ივნისს ჯავაირა კამოს მებრძოლ რაზმთან ერთად მონაწილეობდა ერევნის მოედანზე მოქმედ ცნობილ გამოსვლაში, ამასთან დაკავშირებით ჯავაირა დაუპატიმრეს. მეტეხის ციხეში მის საქმეს გამოცდილი ჟანდარმთა პოლკოვნიკი წარმართავდა. ჯავაირამ ისე გაითამაშა გულუბრყვილო ქალიშვილის როლი, რომელიც თითქოს შორს იყო პოლიტიკისგან, რომ იგი გაანთავისუფლეს.

გასაოცარი მოსაზრებულობა, სიმხნევე, სიდინჯე გამოიჩინა ჯავაირამ, როდესაც პარტიამ დაავალა გერმანიაში დაპატიმრებულ კამოსთან კავშირის დამყარება, ხოლო შემდეგ ჯავაირამ ყველაფერი გააკეთა კამოს საავადმყოფოდან გაქცევისათვის.

1911 წ. ჯავაირა დაუპატიმრეს კამოს გაქცევასთან დაკავშირებით.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჯავაირა ხუტულაშვილი ახორციელებდა საგანგებო დავალებებს. დღე და ღამეს ასწორებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის ლენინური პროგრამის განსახორციელებლად.

ამ პერიოდში ჯავაირა მიავლინეს ჩრდილო კავკასიაში თეთრი გენერლების მამონტოვისა და შკუროს ბანდის ზურგში. მან იქ ისე დაიმსახურა თეთრი გენერლების ნდობა, რომ მოკლე ხანში შესძლო ხელში ჩაეგდო მტრის გეგმა წითელ არმიაზე შეტევის შესახებ. ჩვენმა სარდლობამ ძვირფასი მასალა მიიღო. ასევე ბრწყინვალედ შეძლო აგრეთვე ჯავაირამ 1920 წ. ბაქოში კონტრრევოლუციის შტაბის ყველა მასალისა და ინფორმაციების მიწოდება ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯავაირა თბილისში გადმოვიდა ოჯახით. ს. ორჯონიკიძის წინადადებით იგი დაინიშნა ჯანმრთელობის საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

ოციან წლებში ჯავაირას ინიციატივით და მისი დაუღალავი შრომის შედეგად აშენდა, დაარსდა მრავალი გამაჯანსაღებელი დაწესებულება მშრომელთათვის — საბავშვო ბაღები, ბაგები, საბავშვო სახლები, დედათა და ბავშვთა კონსულტაციები, ამბულატორიები, დისპანსერები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, ომის ინვალიდთა სახლი, ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი, ტალახით სამკურნალო, პროფესიონალური დაავადებათა ინსტიტუტი და სხვა სამედიცინო დაწესებულებები.

1920 წელს ჯავაირამ გაიცნო ა. მ. გორკი, რომელთანაც შემდეგში მეგობრული ურთიერთობა, სისტემატური მიმოწერა ჰქონდა. ჯავაირა პირადად იცნობდა მსოფლიო მუშათა კლასის გენიალურ ბელადს ვ. ი. ლენინს.

ჯავაირა გარდაიცვალა 1961 წელს.

ა. მ. გორკი თავის შესანიშნავ წარკვეულში „კამო“, აგრეთვე ჯავაირასადმი გაგზავნილ წერილში, კამოს და მის ამხანაგებს რევოლუციის მხატვრებს უწოდებდა. მართლაც ახალი სამყაროს მშენებელ მხატვართა სახელოვან პლეადას ეკუთვნოდა ჯავაირა ხუტულაშვილი — მტკიცე რევოლუციონერი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი.

დოც. ე. სტურუა.

„ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲚᲔᲥᲡᲘᲗ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ...“

30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ თბილისის საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ვალერიან გაფრინდაშვილის დაბადების 90-ე წლისთავი. საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

დღეს შესანიშნავ პოეტს, ქართული ლექსის ნამდვილ ოსტატს ვალერიან გაფრინდაშვილს 90 წელი შეუსრულდებოდა. რამდენი კარგი ნაწარმოებით გაამდიდრებდა იგი შობლიურ ლიტერატურას, თუმცა იმანაც, რაც სიცოცხლის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოასწრო, სამუდამოდ დაიკავა საპატიო ადგილი ქართული საბჭოთა პოეზიის საგანძურში.

„ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი“, წერდა პოეტი და ამით გამრუტავდა უსაზღვრო ერთგულებას პოეზიისადმი. ვალერიან გაფრინდაშვილმა დიდი როლი შეასრულა უახლესი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბება-განვითარებაში. მისი ბრწყინვალე ლექსები. ლიტერატურული მემკვიდრეობა, პოეტის მთელი შემოქმედება მშობლიური ხალხის უანგარო სამსახურის ნათელი მაგალითია.

ამაზე ილაპარაკეს საღამოზე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ მთავარმა redaქტორმა კრიტიკოსმა გ. ასათიანმა, უხუცესმა მწერალმა, ვალერიან გაფრინდაშვილის მეგობარმა ს. კლდიაშვილმა, პროფესორმა ს. ჭილაიამ, პოეტებმა ი. ნონეშვილმა, რ. მარგიანმა, ტ. ჭანტურიამ და სხვებმა.

საღამოზე ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსები წაიკითხეს ქართველმა პოეტებმა, თბილისის თეატრების მსახიობებმა. წაიკითხეს აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლადო გუდიაშვილის მოგონება პოეტთან მეგობრული ურთიერთობის შესახებ.

ქართულ და რუსულ ენებზე გამოვა ვალერიან გაფრინდაშვილის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულები. (საქინფორმი).

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ

სტუმრად საქართველოს სსრ სახალხო მხატვარ გიგლა ფირცხალავასთან

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ვ. მარდალეიშვილი ესტუმრა ცნობილ კარიკატურისტს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს გიგლა ფირცხალავას. საუბარი გაიმართა მხატვრის შემოქმედების საინტერესო მომენტებზე, ზოგიერთ ცხოვრებისეულ საკითხზე. თუმცა ჩვენი სტუმრობის მთავარი მიზანი მაინც ის იყო, რომ რედაქციას შეეთავაზებინა მხატვრისთვის კარიკატურების სერიის შექმნა, რომელშიც ნათლად, მახვილი თვალით აისახებოდა საჭირბოროტო საკითხები და პრობლემები, რომლებზედაც მწვავედ, მთელი პრინციპულობით იყო ლაპარაკი პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე.



— რა თქმა უნდა, ვეცდები... მე, რომ იტყვიან, ნაღდი თბილისელი ვარ და გულთან მიმაქვს ჩემი დედაქალაქის ავ-კარგი, — თქვა მხატვარმა.

— ასე რომ, რედაქციაში გელით... ახლა, რამდენიმე კითხვა თქვენი შემოქმედების ირგვლივ. ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ თქვენ პროფესიით მოქანდაკე ხართ.

— და ფერმწერი. სკოლაში (თბილისის მე-8 სკოლაში ვსწავლობდი) ბუდიონის პორტრეტი დავხატე ორდენებითა და მედლებით. დირექტორს ისე მოეწონა, რომ თავის კაბინეტში ჩამოკიდა. მაგრამ ყველა ასე როდი „იფასებდა“ ჩემს შემოქმედებას. ქიმიის მასწავლებელი, მაგალითად, გამიწყრა თავისი შარჟი რომ ნახა დაფაზე დახატული. შემდეგ სამხატვრო სასწავლებელში ფერწერის ფაკულტეტი დავამთავრე, ხოლო აკადემიაში პროფესორ ნ. კანდელაკის ხელმძღვანელობით — ქანდაკების ფაკულტეტი. დაზგური ქანდაკება ჩემს ძირითად პროფესიად მიმაჩნია. თუმცა, გამოფენებზე როგორც მოქანდაკე არც ისე ხშირად ვმონაწილეობ, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ საუკეთესო დაზგური ნაწარმოებები გამოვფინო. არადა, ფართო საზოგადოება მაინც კარიკატურებით უფრო მიცნობს.

— რას მიიჩნევთ კარიკატურისტის მთავარ თვისებად?

— ხასიათის ხაზგასმას. ეს უპირველესად მაშინ, როცა შარჟზე მუშაობ. საერთოდ კი კარიკატურას საკეთე უნდა ახლდეს, თუ წინა პლანზე ღვარძლია, ასეთი ნახატი ღიმილს ვერ გამოიწვევს.

— თქვენი საქმე სარიკოა. ზოგჯერ შეიძლება უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავარდეთ.

— ყოფილა ასეთი შემთხვევებიც. ერთი ცნობილი მეცნიერი გამებუტა, როცა მისი მეკობრული შარჟი დავხატე და დიდი აჟიოტაჟიც გამოიწვია. ურთი პწერალი კი სულ იმას მისაყვედურებს, ყველას ხატავ და მე რა დაგიშავეო.

— მკითხველს მოსწონს თქვენი იუმორისტული მოთხრობებიც, ამ ბოლო დროს ქართულ კინოფილმებშიც გამოჩნდით. ეს მოღვაწეობაც „სერიოზულად“ მიგიჩნიოთ?

— სერიოზულობა კარიკატურის ხატვასაც უნდა. ისე, სხვათა შორის, არაფერს არ ვაკეთებ. იუმორიანტული მოთხრობები ალბათ ანარეკლია იმისა, რომ ადრე მწერლობაშიც ვცადე ბედი. 1948 წელს საბავშვო მოთხრობების კონკურსი გამოცხადდა. მონაწილეობა მივიღე და ჩემს მოთხრობებს რეკომენდაცია მიეცეს დასაბეჭდად. შემდეგ გამოვიდა რამდენიმე მწერლის ერთად აკინძული კრებული. მათ შორის მეც ვიყავი. რა დასამალია და, იმ მოთხრობებიდან ერთ-ერთი „თაიგული“ — მეორე კლასის სახელმძღვანელოში იყო შეტანილი.

კინომსახიობობისა რა გითხრათ... პირველად მიხეილ ჭიაურელმა გადამიღო „გიორგი საკაძის“ ერთ-ერთ ეპიზოდში. ამ რამდენიმე წლის წინათ კი ელდარ შენგელაიამ „მომძღენა“ და ეპიზოდური როლი შემომთავაზა „არაჩვეულებრივ გამოფენაში“. ნინა მჭედლიძის „პირველი მერცხალიც“ ახსოვთ ალბათ მაყურებლებს... მალე გამოვა რეჟისორ დავი აბაშიძის მხატვრული ფილმი „ყვარყვარე თუთაბერი“, სადაც მოხუც გენერალს ვთამაშობ... რა ვიცი... ეტყობა, რაღაც მოსწონთ რეჟისორებს.

— თუ არ ვცდები თქვენ ლექსებსაც წერდით. მახსოვს პოპულარული სიმღერები „ია ხარ ჩემი გაზაფხულის“, „მთაში დაკრეფილ ზამბახთა კონა“ და „ქუთაისელი მეხო“, რომელთა ავტორი მგონი თქვენა ხართ...

— დიახ, როგორც ყველა ქართველს, მეც მადევს ეს „ცოდვა“. ახალგაზრდობაში მეც მღრღნიდა „ლექსის ჭია“... თუ მაპატიებენ, მეტს აღარ ვიზამ!

— პერსონალურ გამოფენებს ხშირად არ აწყობთ...

— სულ გამოფენილი არა ვარ?! კარჩაკეტილიაო, ჩემზე ვერავინ იტყვის. რაც ფეხბურთისა და ფეხბურთელებისათვის დრო დამითმია კიროვის მარკში...

ამ რამდენიმე წლის წინ მოსკოვის ლიტერატორის ცენტრალურ სახლში მოეწყო ჩემი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, აქ წარმოდგენილი იყო ორასზე მეტი ნამუშევარი: კარიკატურა, შარჟები, გრაფიკული პორტრეტები, ქანდაკება. გამომცემლობა „ხელოვნებამ“ სპეციალური კატალოგი გამოსცა ამ გამოფენისათვის. კატალოგს მწერალ ნოდარ დუმბაძის წინასიტყვაობა აქვს დართული, აი ერთი ნაწყვეტი: „მაშინ ჟურნალ „ნიანგის“ redaქტორად ვმუშაობდი, — წერს ნ. დუმბაძე, — ერთხელ წერილი მივიღე, რომელშიც მწერდნენ: „პატიკცემულო რედაქტორო, მე მხოლოდ იმიტომ ვიწერ თქვენს ჟურნალს, რომ მასში მუშაობს გიგლა ფირცხალავაო“.

ახლა თავის ქება რომ არ გამომივიდეს თქვენ თვითონ გაეცანით ზოგიერთ მოსაზრებას ჩემს შემოქმედებაზე.

● ●

მართალია, ძებნა დასჭირდა, მაგრამ მაინც მონახა და გამომიწოდა ჟურნალის — „კნიგი ი ისკუსტვო ვ სსსრ“ ახლახან გამოსული მეექვსე ნომერი. ამ ჟურნალს მსოფლიოს მრავალ ენაზე უშვებს საკავშირო საავტორო უფლებათა საგენტო. ეს ჟურნალს ინგლისური ნომერია, რომელშიც სათაურით „საბჭოთა კარიკატურისტის თვალით“ დაბეჭდილია რსფსრ დამსახურებული მხატვრის ლ. სამოილოვის წერილი. აი რას ეკითხულობთ ქართველ მხატვარზე:

„გიგლა ფირცხალავა დიდად პოპულარულია საბჭოთა კავშირში. მისი ნამდვილი „ქართული“ იუმორი სათავეს იღებს მშობლიური ქვეყნის მდიდარი ფოლკლორიდან. ფირცხალავას გასაოცარი უნარი ეროვნული ტიპის მიგნებისა მისი შემოქმედების მთავარი დამახასიათებელი თვისებაა“.

ᲐᲮᲐᲚᲘ თემები, სახეები, ძიება და პოვნა სიუჟეტების, რომელთაც სხვები ძნელად შეამჩნევენ, მხილება ყოველგვარი მანკიერებისა, — ასეთია მხატვრის ყოველი დღე, შემოქმედებითი მრწამსი.

● ●

ᲒᲣᲨᲘᲜ გ. ფირცხალავა „საპასუხო ვიზიტით“ ეწვია redaქციას და დაპირებისამებრ კარიკატურების მთელი სერია მოგვიტანა. სერიას მხატვარმა ასეთი სათაური მისცა: „რაც თბილისელს გულსა სტკენს“ და შექმნა იგი ამასწინათ გამართული თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის მოტივებზე.

მშენებლობის ხარვეზების თემაზე შესრულებული კარიკატურებით ვიწყებთ მკითხველისათვის ამ სერიის გაცნობას. მაშასადამე, ქალაქში დადის კარიკატურისტი და სამსჯავროზე გამოაქვს ყველაფერი, რაც ყველა თბილისელს გულსა სტკენს.

ᲠᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲡ ᲒᲣᲚᲡᲐ ᲡᲢᲙᲔᲜᲡ

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ:

— ვნახოთ როდემდე გაუძლებს ქაღალდის ბურჯები.

— აი, ჩაიბარეთ ახალი ბინის გასაღები და მასთან ერთად: სანტექნიკოსი, ხურო და მეპარკეტე.

— ᲒᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐᲡ ნახატები. —

ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝ

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ კულაში გრძელდება ევროპის თასის გათამაშება მოჭადრაკე გოგონთა შორის. შვიდი ტურის შემდეგ 6 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისელი ნანა იოსელიანი. მეექვსე ტურში იოსელიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პოლონელ ვიზესთან, ხოლო მეშვიდეში დაამარცხა უნგრელი ხუნდი.

ნანას ერთი ქულით ჩამორჩება უნგრელი მარტა კოვაჩი. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა ორი ტური. როგორც ხედავთ, ნანა იოსელიანს დიდი შანსები აქვს გაიმეოროს შარშანდელი წარმატება: შეგახსენებთ, ნანამ გასულ წელს პირველად მოიპოვა ევროპის თასი გოგონთა შორის.

ᲛᲐᲘᲐᲛ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ

ᲑᲐᲥᲩᲝᲨᲘ ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო პირველობის მეხუთე ტურში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ ასპარეზობის ერთ-ერთი ლიდერი — ივანოვოელი ა. ხარიტონოვი დაამარცხა. მაიამ ფიგურის შეწირვით ლამაზი გამარჯვება იზეიმა. თბილისელები ზ. სტურუა და გ. ზაიჩიკი შესაბამისად დაუზავდნენ ლვოველ ლ. ზაიდს და კრასნოიარსკელ ს. ფსახისს.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

2 ᲗᲔᲗᲠᲘᲗᲐᲚᲘ კიევში იწყება ყალთბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. გუშინ თბილისის დინამოელები გაემგზავრნენ კიევს. აღსანიშნავია, რომ გუნდის შემადგენლობაში კვლავ ითამაშებს მიხეილ ქორქია, რომელიც აქამდე კოლექტივის ღირსების ტრავმის გამო ვერ იცავდა. თბილისის „დინამო“ წლევანდელ ჩემპიონატში ჩვეული ძალით ვერ ასპარეზობს. მას აქვს თავისი სხვადასხვა მიზეზი, რომელთაგან აღსანიშნავია ის, რომ დადგა ჯერი თაობათა ცვლისა, მაგრამ მაღალი კლასის ახალგაზრდა სპორტსმენთა ზრდის პროცესი ერთობ გაჭიანურდა.

დასკვნითი მატჩების წინ თბილისის „დინამო“ გათამაშების ცხრილში 24 ქულით მეექვსე ადგილზეა. პირველ სამეულში არიან: ცსკა — 31 ქულა, ვილნიუსის „სტატბა“ — 29 და კიევის „სტროიტელი“ — 28.

„ᲜᲔᲓᲔᲚᲘᲐᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ და ლენინგრადში „ნედელიას“ პრიზზე საფეხბურთო ტურნირების მეექვსე დღეს გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა:

მოსკოვი. „ტორპედო“ (მოსკოვი)-„ვოლანი“ (ბუდაპეშტი) — 2:1, ცსკა-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 2:0.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. „დინამო“ (კიევი)-ასკ (დონის როსტოვი) — 1:0, „კაირატი“ (ალმა-ათა)-„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — 1:4.

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა ფინალური შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკსა“ და ცსკას შორის. გაიმარჯვა ცსკამ ანგარიშით 3:0. მესამე ადგილისთვის გამართული მატჩი კი მოსკოვის „ტორპედომ“ მოუგო დონეცკის „შახტორს“ — 3:1. ლენინგრადში ოდესის „ჩერნომორეცმა“ დაამარცხა კიევის „დინამო“ ანგარიშით 3:0 და III ადგილს დაეუფლა. ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და მინსკის „დინამოს“ ფინალურ მატჩში გაიმარჯვა „ზარიამ“—1:0.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ. მოსკოვის „დინამომ“, რომელიც ამჟამად ბულგარეთში იმყოფება, დაამარცხა „ლევსკი-სპარტაკი“ ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი გოლი გაიტანა მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ „დინამოში“ ახლახან გადასულმა ვ. გაზაევმა.

რედაქტორი
ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ —

1 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დებიუტი“, 18.30 — „ამართოთ ხარისხი“, 19.00 „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მოსკოვიდან), 19.30 — კონცერტი, 20.00 — „მოამბე“— საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.30 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (ზაგრებიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საბჭოთა კავშირში კუბის რესპუბლიკის კულტურის დღეების დახურვა. ტრანსლაცია სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან.

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფერადი), 18.45 — განცხადებები (ფერადი), 18.50 — სატელევიზიო დადგმა „ანგელოზების ქუჩა“, I ნაწილი, 20.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მომხრე და წინააღმდეგი“, 20.55 — მუსიკალური სპექტაკლების სცენები, 21.35 — მულტიპლიკაციური ფილმი.

ᲗᲣᲐᲚᲘ —

1 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲨᲐᲣᲜᲔᲗᲘ** (VIII აბონ. I წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲠᲘᲩᲐᲠᲓ** III (პრემიერა); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური— **ᲥᲕᲔᲚᲘ ᲕᲝ